



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 61

26 ნოემბერი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ლამპარისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ლამპარს“ (ს/კ 231289398) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 6 (ექვსი) თვის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, ერეკლე II-ის გამზირ N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 41.3 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.20.37.089).
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე